

ბათუმის ბუღვარის
განაშენიანების გეგმა



1.2.2

ტექსტური ნაწილი

სარჩევი

1.2.2.1 განმარტებითი ბარათი _____	2
სანაპირო ზოლი _____	2
ფუნქციური ზონირება _____	2
გამოყენებითი ზონირება _____	2
მიწის ნაკვეთების გამიჯვნა _____	2
ფაზირება _____	3
საპროექტო შენობები _____	3
კვების ობიექტები _____	3
გასახლელები, საშხაპეების, საპლაჟე ინვენტარის შესანახი სათავსები, შემნახველი საკნები _____	3
სამეთვალყურეო კომპლექსები, პირსები _____	4
არსებულ ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების რეკომენდაციები _____	4
ზღვისპირა პარკი _____	5
ფუნქციური ზონირება _____	5
გამოყენებითი ზონირება _____	7
პრომენადი _____	8
ველობილიკი _____	9
უსაფრთხოება _____	10
მანიშნებლები _____	11
მასალა და ფერი _____	11
ძირითადი მოთხოვნები _____	11
ტექნიკური რეგლამენტი და სტანდარტები _____	12
გზის ზედაპირის შრეები _____	12
საოცრებათა პარკი _____	13
ისტორიული ნაწილი _____	16
ცენტრალური შესასვლელი _____	17
საზაფხულო თეატრი _____	18
ჩოგბურთის კორტები _____	19
სასტუმრო შერატონის აუზი _____	19
მედიათეკა _____	19
შუალედური ნაწილი _____	20
არდაგანის ტბა _____	20
რესტორნების კლასტერი _____	20
ატრაქციონების პარკი _____	21
ახალი ბულვარი _____	22
ადაპტირებული გარემო _____	24

1.2.2.2 არსებულ ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების რეკომენდაციები _____	23
1.2.2.3 მომიჯნავე ტერიტორიების განვითარების რეკომენდაციები _____	42
1.2.2.4 სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი _____	47

1.2.2.1 განმარტებითი ბარათი

სანაპირო ზოლი

ფუნქციური ზონირება

საქართველოს მთავრობის დადგენილება №261-ს საფუძველზე, ტერიტორია წარმოადგენს არასამშენებლო ტერიტორიას, კერძოდ „სხვა არასამშენებლო ტერიტორიას“ „**მუხლი 27**. სხვა არასამშენებლო ტერიტორია

სხვა არასამშენებლო ტერიტორიებს განეკუთვნება პლაჟები, მდინარეთა ნაპირები და სხვა, რომელთა განვითარებისთვის შესაბამისი სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადგენს განსაკუთრებულ, საგამონაკლისო პირობებს.

გამოყენებითი ზონირება

გამოყენებითი ზონირების კუთხით ტერიტორია დაყოფილია 3 ძირითად ზონად:

- ზღვის მიმდებარე 20-30 მეტრიანი ზოლი და მასთან ჩასასვლელი ბილიკები. **(E)**
- საპლაჟედ გამოყოფილი ტერიტორია **(A/C)**,
- აქტიური დასვენებისა და კვებისათვის გამოყოფილი ტერიტორია **(B/D)**,

პლაჟის ტერიტორია გაყოფილია 2 ნაწილად:

ტერიტორია სადაც არ იქნება გათვალისწინებული შეზღოვები და საპლაჟე ინფრასტრუქტურა **(A)**, და ტერიტორია სადაც განთავსებული იქნება შეზღოვები და საპლაჟე ინფრასტრუქტურა **(C)**.

აქტიური დასვენებისა და კვებისათვის გამოყოფილი ტერიტორია ასევე გაყოფილია ორ ნაწილად: კაფებისათვის გამოყოფილი ტერიტორია **(D)** და აქტიური დასვენების ტერიტორიები **(B)**.

ასევე ტერიტორიაზე გამოყოფილია ორი შერეული ზონა: ტერიტორია რომელიც წარმოადგენს პრომენადის მომიჯავე არეალს, სადაც უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეები. აღნიშნული ტერიტორიები ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას პერიოდული აქტივობებისათვის (ფესტივალები, სპორტული შეჯიბრები და სხვა.) ტერიტორიაზე ასევე შეიძლება მოეწყოს საპლაჟე ინფრასტრუქტურა **(AB)** და ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს პრომენადის მომიჯავე არეალს, სადაც უნდა მოეწყოს კაფე, რომელიც მოემსახურება სანაპირო ზოლს და პრომენადის სტუმრებს. ტერიტორიაზე ასევე შეიძლება მოეწყოს საპლაჟე ინფრასტრუქტურა **(CD)**

მიწის ნაკვეთების გამიჯვნა

საპროექტო მიწის ნაკვეთების კონფიგურაცია თანხვედრაშია გამოყენებით ზონირებასთან, და მათი განაწილებისას ასევე გათვალისწინებულია როგორც ზღვასთან ჩასასვლელი ზღვის პერპენდიკულარული ზოლები (20 მ) ასევე სანაპირო ზოლში გადასაადგილებელი, ზღვის ხაზის პარალელური ზოლები (5მ).

C, D, და CD მიწის ნაკვეთები უნდა იყოს დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში ცალკეულ საკადასტრო ერთეულებად, ხოლო A, B, AB და E მიწის ნაკვეთები უნდა წარმოადგენდეს ერთიან საკადასტრო ერთეულს, რომლის შიდა საზღვრები განსაზღვრული არის წარმოდგენილი

დოკუმენტით და მათი ადგილმდებარეობა და კონფიგურაცია უნდა იქნას გამოყენებული სახელმძღვანელოდ, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის.

ფაზირება

სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის მაქსიმალურად ეფექტური განხორციელებისათვის, სასურველია ტერიტორიის განვითარება ერთ ფაზად. თუმცა გამომდინარე იმ იურიდიული ვალდებულებებიდან რაც გააჩნიათ მეიჯარეებს, განხორციელება შესაძლებელია მოხდეს ამ იურიდიული ვალდებულებების ხანგძლივობის შესაბამისად.

ამავდროულად პირველ ფაზაზე მნიშვნელოვანია, იმ ტერიტორიების განაშენიანების გეგმის მიხედვით განვითარება, რომლებიც მდებარეობს ცენტრალურ ნაწილებში, და საზოგადოებრივი თავშეყრის ძირითად წერტილებში. მაგ: (A2, A3, B2, B3, C2, D2, AB2, C1, D1, AB1, CD1)

საპროექტო შენობები

სანაპირო ზოლზე შენობების განთავსება მოხდა შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- განისაზღვრა სანაპიროზე გამავალი ძირითადი გასასვლელები.
- თითოეული ასეთი გასასვლელი წერტილიდან დადგინდა ხედვის არეალები (120 გრადუსიანი კუთხე) და ამ არეალებში დადგინდა შეზღუდვის ზონა, რომელშიც არ უნდა განთავსდეს არც ერთი შენობა რათა ბულვარიდან პრომენადზე გამოსვლისას, შენობებმა არ შეუშალოს ხელი ზღვის ხედის აღქმას.
- შემოთხსენებული მიდგომის გათვალისწინებით დადგინდა შენობების განთავსების არეალები.
- მსოფლიო ანალოგების გათვალისწინებით, განისაზღვრა იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა განთავსებაც შესაძლებელია სანაპირო ზოლის ფარგლებში (მცირე ზომის კაფე, საჩრდილობელი, ტუალეტი, საშხაპე, გასახდელი, სამაშველო კოშკი, ბავშვთა სათამაშო მოედანი, ქვიშის სპორტული მოედანი)

კვების ობიექტები

სანაპირო ზოლში განთავსებული კვების ობიექტები განკუთვნილი იქნება ძირითადად პლაჟის მომსახურებისათვის, თუმცა მათთან წვდომა იქნება ასევე პრომენადის მხრიდანაც. დახურულ სივრცეში განთავსდება სამზარეულო, საწყობი და სანკვანძი. ხოლო დასაჯდომი ადგილები განთავსდება მხოლოდ მსუბუქი კონსტრუქციით გადახურულ სივრცეებში.

ჯამში სანაპირო ზოლში განთავსდება 20 მცირე ზომის კაფე, რომლებიც ერთმანეთისგან საშუალოდ დაშორებულია 240 მ-ით.

თითოეულ კვების ობიექტს, პრომენადის გასწვრივ მიკუთვნებული ექნება ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, სადაც შესაძლებელი იქნება შეზღონგების, სპორტული მოედნების ან/და საბავშვო ზონის განთავსება.

გასახდელები, საშხაპეების, საპლაჟე ინვენტარის შესანახი სათავსები, შემნახველი საკნები

სანაპირო ზოლის ნაწილში A, C, AB და CD ზონებში შესაძლებელი იქნება გასახდელების, საშხაპეების, საპლაჟე ინვენტარის შესანახი სათავსების და შემნახველი საკნების განთავსება. აღნიშნული ობიექტები განაწილებულია იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველა საპლაჟე ტერიტორიისთვის.

სამეთვალყურეო კომპეტი, პირსები

სამეთვალყურეო კომპეტის და პირსების განთავსება შესაძლებელი იქნება მხოლოდ E ტერიტორიაზე. სამეთვალყურეო კომპეტს შორის დაშორება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეადგენს 500 მ-ს.

ტერიტორიაზე შენარჩუნებულია 4 არსებული პირსი, თუმცა პროექტის მიხედვით ისინი წარმოადგენენ მხოლოდ სარეკრეაციო დანიშნულების ობიექტებს და ისინი გამოთავისუფლებული არიან შენობებისგან. პროექტი ასევე ითვალისწინებს ორი დამატებითი პირსის მიწყობას სასტუმრო „შერატონის“ და „ახალი ბულვარის“ მონაკვეთში.

ზღვისპირა პარკი

ფუნქციური ზონირება

ბათუმის ბულვარის ფუნქციური ზონირებისთვის სახელმძღვანელო საფუძველს წარმოადგენს 2019 წლის 3 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 **ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ**.

ფუნქციური ზონირება დგინდება ამ დებულების **თავი I, მუხლი 3. ფუნქციური ზონირების პრინციპი**-ს მიხედვით:

1. ფუნქციური ზონირების პრინციპი გულისხმობს ტერიტორიისთვის შესაბამისი ნორმატიული რეჟიმის განსაზღვრას. ნორმატიული რეჟიმი ადგენს ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების მარეგულირებელ ნორმებს.

2. ტერიტორიები გამოყენებისა და განვითარების მიზნით იყოფა:

ა) სამშენებლო ტერიტორიებად;

ბ) არასამშენებლო ტერიტორიებად.

ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ბათუმის ბულვარი დგინდება როგორც არასამშენებლო ტერიტორია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

4. არასამშენებლო ტერიტორიების განსაზღვრა შესაძლებელია სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი ან/და დარგობრივი გეგმების მიერ შესაბამისი ტერიტორიული რეჟიმების დადგენით, სადაც ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ფუნქციით განპირობებული მშენებლობა.

თავი III. განაშენიანებისგან თავისუფალი (არასამშენებლო) ტერიტორიები და დამცავი ზონები, მუხლი 22. არასამშენებლო ტერიტორიები იძლევა ასეთი ტერიტორიების გამოყოფის საფუძველს და არასამშენებლო ტერიტორიების სახეობებს.

1. განაშენიანებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე ვრცელდება ამ მუხლით განსაზღვრული

რომელიმე რეჟიმი.

2. განაშენიანებისგან თავისუფალი ტერიტორიების გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს ქალაქთმშენებლობითი გეგმები, დარგობრივი გეგმები ან/და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაცია.

3. თუ განაშენიანებისგან თავისუფალი ტერიტორიის გამოყოფის საფუძველია ქალაქთმშენებლობითი გეგმები, მაშინ ის ამ გეგმაში აისახება შემდეგი ტერიტორიების სახით:

ა) გამწვანებული ტერიტორიები;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები;

გ) სატყეო ტერიტორიები;

დ) ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიები;

ე) სხვა ტერიტორიები, რომლებიც არ მიეკუთვნება სამშენებლო ტერიტორიას.

მე-2 პუნქტის თანახმად ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმა წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიისთვის არასამშენებლო ტერიტორიის მინიჭების საფუძველს.

მე-3 პუნქტის მიხედვით ბათუმის ბულვარს ენიჭება დ) ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია, ხოლო საპროექტო საზღვრებში შემავალ სანაპირო ზოლს ე) სხვა ტერიტორიები, რომლებიც არ მიეკუთვნება სამშენებლო ტერიტორიას.

1-ელი პუნქტის შესაბამისად ამ ტერიტორიებზე გავრცელდება შესაბამისი რეჟიმები.

ამავე თავის (III) მუხლი 26. განმარტავს ლანდშაფტურ ტერიტორიას.

1. ლანდშაფტური ტერიტორია მოიცავს ბუნებრივი ლანდშაფტის ან ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი მენობა-ნაგებობების არსებობა.

2. ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:

ა) მისი ფუნქციონირებისა და დაცვისთვის უზრუნველყოფი მენობა-ნაგებობებისა;

ბ) რელიგიური/საკულტო მენობა-ნაგებობებისა, საგამონაკლისო წესით;

გ) სპეციალური ტურისტული მარშუტით შეთანხმებული, ჰანორამული ხედების მქონე, ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო მენობა-ნაგებობებისა.

ბათუმის ბულვარი წარმოადგენს გამწვანებულ საზოგადოებრივ პარკს და სარეკრეაციო სივრცეს. ამგვარი ობიექტი, საქართველოს მთავრობის №261 დადგენილებით, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიების სახეობებს, ფუნქციურ ზონებსა და ქვეზონებს, ცალსახად განეკუთვნება არასამშენებლო ტერიტორიების სახეობას, კერძოდ კი ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიას. სამშენებლო ტერიტორიების განმარტება და მასში შემავალი ფუნქციური ზონები და ქვეზონები

არ მოიცავს ამ ტიპის ინფრასტრუქტურასა და ობიექტებს. ხოლო არასამშენებლო ტერიტორიებიდან იგი ყველაზე მეტად ესადაგება ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიას, სადაც დასაშვებია მისი ფუნქციონირებისა და დაცვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობები, რომლებიც გვხვდება ბულვარში. დანარჩენი არასამშენებლო ტერიტორიების სახეობები (სასოფლო-სამუერნეო ტერიტორია, სატყეო ტერიტორია) არ მიესადაგება საქალაქო პარკს ან არ უშვებს არანაირი შენობის არსებობას ამგვარ ტერიტორიაზე (გამწვანებული ტერიტორია).

სანაპირო ზოლს და პლაჟს, ამავე დებულების ამავე თავის **მუხლი 27**. მიხედვით ენიჭება 'სხვა არასამშენებლო ტერიტორია'. ამ მუხლში პირდაპირ წერია, რომ ამ სახეობას მიეკუთვნება პლაჟები და ნაპირები:

მუხლი 27. სხვა არასამშენებლო ტერიტორია

სხვა არასამშენებლო ტერიტორიებს განეკუთვნება პლაჟები, მდინარეთა ნაპირები და სხვა, რომელთა განვითარებისთვის შესაბამისი სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადგენს განსაკუთრებულ, საგამონაკლისო პირობებს.

გამოყენებითი ზონირება

ბათუმის ზღვისპირა ბულვარი გამოყენების კუთხით იყოფა რამდენიმე სეგმენტად. ბულვარის ვიზიტორები, როგორც ბათუმელები ასევე ტურისტები, სხვადასხვა სეგმენტებს სხვადასხვანაირად იყენებენ. განაშენიანების გეგმის მიხედვით, სეგმენტების დატვირთვა გამომდინარეობს ლოკალური სივრცითი მახასიათებლებიდან და აქტივობებიდან, რომლებიც ან ტრადიციულად არის ჩამოყალიბებული ან გეგმარებითი მოსაზრებებით არის შემოთავაზებული ბულვარით სარგებლობის გაუმჯობესებისა და მისი უკეთესი სივრცითი გამოიყენების მიზნით.

ამგვარად, ბულვარი იყოფა შეგმდეგ გამოყენებით სეგმენტებად:

- სანაპირო ზოლი
- ველობილიკი
- პრომენადი
- საოცრებათა პარკი
- ისტორიული ბულვარი
- შუალედური სეგმენტი
- არდაგანის ტბა
- რესტორნების კლასტერი
- ატრაქციონების პარკი
- ახალი ბულვარი

პრომენადი

პრომენადი ზღვისპირა ბულვარს მთელს სიგრძეზე გასდევს და მის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იგი აქტიურად გამოიყენება სასაღმრთლოდ და ზღვის ხედიდან სარგებლობის საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში. აქ ასევე სანაპირო ზოლის შემდეგ ყველაზე კარგად შეიგრძნობა ზღვის ჰაერი წელიწადის ნებისმიერ დროს, რაც ბულვარის გამწვანებული ნაწილის სიღრმეში შედარებით ნაკლები ინტენსივობით აღწევს ნარგავებისა და მანძილის გამო.

აქედან გამომდინარე, სანაპირო ზოლის ნაწილში შემოთავაზებული მცირე ზომის ობიექტები - კაფე, საჩრდილობელი, ტუალეტი, საშხაპე, გასახდელი, სამაშველო კომპი, ბავშვთა სათამაშო მოედანი, ქვიშის სპორტული მოედანი, განაშენიანების გეგმის მიხედვით განთავსებულია იმგვარად, რომ მინიმალურ გავლენას ახდენდნენ პრომენადის მხრიდან ზღვის ხედეზე.

ბულვარიდან პრომენადზე გასვლა ხდება არსებული ფეხით სასაღმრთლო, ზღვის მიმართ განივი კავშირებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში წარმოადგენენ ქალაქის ქუჩების გაგრძელებას ბულვარის ტერიტორიაზე და სანაპირო ზოლამდე. ასევე არის დამატებითი გასასვლელებიც, რომელთა მეშვეობით პრომენადს უკავშირდება ბულვარში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტები ან სივრცეები, როგორცაა მაგალითად კოლონადა და ამ დერძე მდებარე ბულვარის ერთ ერთი შესასვლელი, უნივერსიტეტის წინ მდებარე მოედანი, კაფე 'რვაფეხა', ა.შ. ბულვარის ისტორიული ნაწილის მიღმა, სამხრეთ-დასავლეთით, პარკიდან პრომენადზე გასასვლელები მოწყობილია ფეხით სასაღმრთლოდ წვდომისათვის კომფორტულ მანძილზე, რადგან ქალაქის ამ ნაწილში კვარტლების განაშენიანება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება უფრო დიდი კვარტალური დაყოფით და შესაბამისად ქუჩების პარკის ტერიტორიაზე გაგრძელება უფრო დიდი მანძილით არის ერთმანეთს დაშორებული.

პრომენადზე ყოველი ასეთი გასასვლელიდან იშლება ზღვის პანორამა, რომლის არეალშიც არ უნდა განთავსდეს არანაირი ნაგებობა ან ნებისმიერი სხვა თუნდაც მცირე ობიექტი, იქნება ეს სკულპტურა, რაიმე პროდუქტის შესაძენი ავტომატური აპარატი თუ სხვა, იმისათვის რომ პრომენადზე გასვლისას არ დაიფაროს ხედი ზღვაზე. ასეთი ხედვის არეალად დადგენილია ზღვის მიმართ 120 გრადუსის მქონე ხედვითი კუთხე პრომენადისა და ბულვარიდან მასზე განივად გამავალი ფეხით სასაღმრთლო ბილიკის კვეთის წერტილიდან.

ველო ბილიკი

პრომენადს უნარჩუნდება არსებული ველო ბილიკი. თუმცა მას ჭირდება გაუმჯობესება და საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულ სტანდარტებზე მორგება. ბულვარში ველობილიკების შეკავშირებულობის და განგრძობადობის მიზნით დაგეგმილია მათი ერთიან სისტემაში მოქცევა და გათვალისწინებულია ქალაქის ველობილიკების ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

ამჟამად პრომენადის ველობილიკი არ არის დაკავშირებული ქალაქში არსებულ ველობილიკებთან და მასთან კავშირი არ მყარდება ბულვარის ტერიტორიაზე. ამისათვის დაიგეგმა განივი ველობილიკები, რომლებიც პრომენადის ველობილიკს აკავშირებენ გოგებაშვილის, ნინოშვილის, რუსთაველის, ხიმშიაშვილის, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩებთან. ამ ქუჩებს ასევე მიუყვება ველობილიკი ბათუმის ბულვარის მთელი სიგრძეზე. ეს ქუჩები არ

შედიან საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, მაგრამ ბათუმის ბულვარისთვის მნიშვნელოვან მაფორმირებელ როლს თამაშობენ და მათ კავშირებს უფრო ფართო ქალაქგანვითარებითი კონტექსტი გააჩნიათ. მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ბათუმის ბულვარის ირგვლივ სრულყოფილი ველობილიკების ქსელის დაგეგმარება, რომელიც ასევე თანხვედრაშია 2017 წელს მომზადებულ 'ტექნიკურ ანგარიშთან #5: ინტეგრირებული, უსაფრთხო და გაუმჯობესებული ველოსისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა'; ქვე-პროექტი: ქალაქ ბათუმისთვის დაბალი ემისიების მქონე ურბანული სატრანსპორტო დერეფნის საპილოტე დონის ძიებების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და ინტეგრირებული, მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა (ISUMP), რომელიც მომზადებულია გერმანული კომპანია A+S Consult GmbH-ის მიერ (პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები არიან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია).

პრომენადის არსებული ველობილიკის მონაკვეთი შეცვლილია საოცრებათა პარკის ტერიტორიის მონაკვეთში, რათა ის უკეთ მოერგოს ანბანის კოშკის წინ მდებარე მოედნის რეკონსტრუქციას და მის ახალ სივრცით ორგანიზებას.

ნინოშვილის ქუჩაზე ველობილიკის მოწყობა შემოთავაზებულია ქუჩის დიზაინის თანამედროვე პრინციპების მიხედვით. ბულვარის მხარეს ნაწილში, ნინოშვილის ქუჩის გასწვრივ, არის საკმაოდ განიერი ტროტუარი, რომელიც დაბალი სიმაღლის ბარიერით არის გამოყოფილი ნინოშვილის ქუჩიდან, რომელზეც ასევე დასაჯდომებია მოწყობილი. ამ ბარიერსა და ავტომობილის პარკინგის ზოლს შორის არის ვიწრო ტროტუარი, რომელიც სასიარულოდ არ გამოიყენება. ამ ტროტუარის და დიაგონალური ავტოპარკირების ზოლის მაგივრად შემოთავაზებულია ველობილიკის და პარალელური ავტოპარკირების ზოლის მოწყობა. ასევე შესაძლებელია სამანქანო ზოლის დავიწროება ავტომობილების სიჩქარის შესანელებლად და შენობების მხარეს ნინოშვილის ქუჩაზე ტროტუარის გაფართოება. ნინოშვილის ქუჩა უნდა იქცეს თანამედროვე ქუჩის დიზაინის მქონე საზოგადოებრივ სივრცედ, სადაც განთავსებული იქნება კაფეები და გარეთ დასაჯდომი მაგიდები, ისე რომ ამან ხელი არ შეუშალოს ქუჩაზე ფეხით მოსიარულეთა შეუფერხებელ გავლას. ამგვარად ნინოშვილის ქუჩა იქცევა ფეხით მოსიარულეებზე ორიენტირებულ ქუჩად, სადაც მოძრაობის ყველა მონაწილეს - ფეხით მოსიარულე, ველოსიპედი და მანქანა, ეთმობა პროპორციული სივრცე თანამედროვე ურბანული ქუჩის დიზაინის და ურბანული მობილობის მიდგომების შესაბამისად. ასეთი ქუჩა მიმზიდველია როგორც ბათმელებისთვის ასევე ქალაქის სტუმრებისთვის და ბულვარის, როგორც დიდი სარეკრეაციო საზოგადოებრივი პარკისათვის წარმოადგენს სივრცით და ფუნქციურ გაგრძელებას და ურბანულ ქსოვილთან ლოგიკურ ბმას.

ამჟამად ველობილიკის და პრომენადზე გამავალი ფეხით მოსიარულეთა ბილიკების კვეთაზე არსებობს მოძრაობის ამ ორ მონაწილეთა სახიფათო კვეთა. ამის აღმოსაფხვრელად საჭიროა დაინერგოს უსაფრთხოების ზომები და ველობილიკი მოეწყოს შემდეგი პრინციპების მიხედვით.

უსაფრთხოება

1. პრომენადის გასწვრივ არსებული ველობილიკის უსაფრთხოების მიზნით გამოიყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბუფერული ზონები.
2. ვერტიკალური ხილვადობის ზონაში აკრძალულია ისეთი ზომის ხეების ან/და მცენარეების განთავსება, რომელთა დატოტვა იწყება მიწის ზედაპირის დონიდან 2.5 – 3.0 მეტრამდე სიმაღლეზე.
3. ჰორიზონტალურ ხილვადობის ზონა გულისხმობს, პრომენადის სარეკრეაციო ველობილიკის მიმდებარედ ორივე მხრიდან ბუფერის გამოყოფას, რომლის სიგანეც უნდა იყოს 0.6 -1 მეტრამდე. აღნიშნული ზონა შესაძლოა იყოს გამწვანებული დაბალი ტიპის მცენარეებით რომელიც არ შეეწინააღმდეგება ვერტიკალური ხილვადობის პარამეტრებს. საჭიროების შემთხვევაში, ბუფერული ზონის მიმდებარედ უნდა გამოიყოს მანიშნებლების და სხვა ურბანული ავეჯისთვის განკუთვნილი 0.6-1 მეტრის სიგანის ზოლი.
4. პრომენადის გრძივი და ბუღვარის განივი ველობილიკების ერთმანეთთან გადაკვეთის ზონაში აუცილებელია უსაფრთხოების მკაცრი ზომების მიღება, კერძოდ კი გადაკვეთის წერტილამდე მიახლოებისას აუცილებელია ბილიკის საფარზე დატანილი იყოს საინფორმაცია წარწერა, რომ უახლოვდება გადაკვეთის წერტილს. ასევე შემანელებელი 3მმ სისქის ზოლები, რომელიც მოუწოდებს ველოსიპედისტს განსაკუთრებული ყურადღება გამოჩენისკენ, რადგან ის უახლოვდება გადაკვეთის წერტილს. უშუალოდ გადაკვეთის სივრცე კი მოპირკეთდება განსხვავებული სტრუქტურის და ფერის მასალით, რათა დაბალი სიჩქარის პირობებში უსაფრთხოდ შეასრულოს მოხვევა სასურველი მიმართულებით.
5. ფეხით მოსიარულეთა ძირითადი შესასვლელების, ისეთი როგორიცაა კ. გამსახურდიას და პ. მელიქიშვილის ქუების გაგრძელებები ბუღვარში, და პრომენადის ველობილიკის კვეთის წერტილებში საჭიროა ველობილიკის სწორი ფორმის გამრუდება, რომელიც ფეხით მოსიარულეთათვის და ველოსიპედისტისთვის შექმნის ერთმანეთის აღქმისთვის საჭირო სივრცეს, რათა მოხდეს მათი უსაფრთხო გადაკვეთა. ასეთი გადაკვეთის წერტილებში აუცილებელია დაიხატოს 'ზებრა' გადასასვლელი, ფეხით მოსიარულეთათვის კი ყურადღების გასამახვილებელი მანიშნებელი საფარის მოპირკეთებაზე.
6. ფეხით მოსიარულეთა მეორადი შესასვლელები და პრომენადის ველობილიკის კვეთის წერტილებში საჭიროა დაიხატოს ზებრა გადასასვლელი და ფეხით მოსიარულეთათვის ყურადღების გასამახვილებელი მანიშნებელი საფარის მოპირკეთებაზე.
7. ველობილიკის და ბუღვარის ხეივანის გადაკვეთის წერტილებში საჭიროა დაცული იყოს #6 პუნქტით გათვალისწინებული წესები.

მანიშნებლები

გამომდინარე იქიდან, რომ პრომენადის ველობილიკი უფრო მეტად სარეკრეაციო დანიშნულებისაა, სასურველია მანიშნებლების განთავსება მოპირკეთების საფარზე რათა ზღვისკენ ხედის აღქმაში არ გაჩნდეს ზედმეტი ვერტიკალური ბოძები და ნიშნები.

1. საჭიროა ბილიკის სიგრძის მანიშნებელი წარწერა დატანილი იყოს ველობილიკის საფარზე.
2. გამაფრთხილებელი ნიშნები, როგორიცაა „შეანელებ სვლა“, საჭიროა განთავსდეს პრომენადის გრძივი და მისი ნინოშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი განივი ველობილიკების, ასევე ფეხით მოსიარულეთა ბილიკების კვეთამდე 15 მეტრით ადრე.

3. ასევე კვეთამდე 15 მეტრის მანძილის დაცვით, უნდა დაიწყოს 3 მმ სისქის კაუჩუკის ზოლები, რომელიც აიძულებს ველოსიპედისტს შეანელოს სვლა.
4. „გამაფრთხილებელი ნიშანი“, რომ ველოსიპედისტი უახლოვდება ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ გადასასვლელს და საჭიროა გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე, უნდა დაიდგეს უშუალოდ ბილიკების კვეთაზე.
5. ველოპარკირების აღმნიშვნელი ნიშნები საჭიროა განთავსდეს ბულვარში მართობული კვეთების დასაწყისში და მის ბოლოში, პრომენდათან კვეთამდე.

მასალა და ფერი

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის - ინტეგრირებული, უსაფრთხო და გაუმჯობესებული ველოსისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა-ის მიხედვით, ველო ბილიკის მოსაპირკეთებლად სასურველია გამოყენებული იყოს ასფალტი. დოკუმენტში, თავში მასალები, გვ. 79 ვკითხულობთ:

ძირითადი მოთხოვნები

კონსტრუქციული გადაწყვეტების ხარისხი მნიშვნელოვანია ველო ბილიკზე ტარების უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის. ზოგადად, ველო ბილიკები უნდა დაიგოს გზის სავალი ნაწილის მშენებლობისთვის საჭირო იგივე ხარისხით. აღნიშნული ეხება ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ პროექტს, ზედაპირის შეღებვას და განათებას, სიჩქარის შეზღუდვებს. აგრეთვე, როდესაც მშენებლობაზე სრულდება ადმინისტრაციული კონტროლი აუცილებელია ველოსიპედებთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ტექნიკური რეგლამენტი და სტანდარტები

RStO „საგზაო მოძრაობის ზონებში გზის ზედაპირის სტანდარტიზაციის დირექტივა“ რეკომენდაციას იძლევა ქვეითთა და ველო ბილიკები აშენდეს ასფალტით, ბეტონით ან ქვანაგებლით. მშენებლობისა და შრეების სისქის მეთოდები შეირჩევა იმის მიხედვით, რომ შესაძლებელი იყოს გზების მოვლა ავტომობილების მოძრაობისას. ველო ბილიკებზე მძიმე ავტომობილების შემთხვევითი გავლა არ არის გათვალისწინებული.

მშენებლობის იაფი მეთოდის შერჩევას (მაგ., დამცავი შრეები გზის ზედაპირზე) გასათვალისწინებელია, რომ მშენებლობაზე ხარჯების დაზოგვა გამოიწვევს ოპერირების გაზრდილ ხარჯებსა და ნაადრევი შეკეთების აუცილებლობას. გარდა ამისა, მშენებლობის სხვა მეთოდის შერჩევამ აქედან გამომდინარე შეიძლება გამოიწვიოს ნაკლები კომფორტი ველოსიპედით მგზავრობისას, და შესაბამისად შეამციროს ველო ბილიკების ვარგისიანობა.

პროექტირების, შესყიდვისა და მშენებლობის საფუძველია მარეგულირებელი მექანიზმი შესაბამისად მისაღები ფორმულირებით, რომელიც უნდა შემუშავდეს გზების მშენებლობისა და საგზაო მოძრაობის შესაბამისი კვლევითი დაწესებულების მიერ ან სხვა კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია მშენებლობაზე და გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია (დირექტივები, მენიშვნები, სტანდარტები, დამატებითი ტექნიკური და საკონტრაქტო პირობები, ა.შ.)

გზის ზედაპირის შრეები

გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები ველო ბილიკის მიმართ:

- ზედაპირის საღებავის ზედა ფენა უნდა იყოს ბრუნვა გამძლე საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე.

- ზედაპირი კვლავაც გლუვი უნდა დარჩეს სველ პირობებში, ველო ბილიკი შესაფერისი უნდა იყოს ნებისმიერ ამინდში ტარებისთვის (კარგი სადრენაჟო სისტემა გუბებისა და ტალახის დაგროვების თავიდან ასაცილებლად, მტვრის დაგროვების თავიდან ასაცილებლად, არეალის თოვლისგან გაწმენდის შესაძლებლობა).

ყველა ძირითადი ხსენებული მოთხოვნის საუკეთესოდ დაკმაყოფილება შეიძლება თუკი გზის ზედაპირი მოასფალტდება და დაიგება მექანიზირებული წესით. ხელით ასფალტის დაგება უნდა შეიზღუდოს მცირე მონაკვეთებზეც კი.

შეფერილი ზედაპირის გამოყენება შესაძლებელია როგორც დერეფნის გადაწყვეტა ველო ზოლის ან ველო ბილიკის გასწვრივ, ან მუზლულულ ადგილებში წერტილოვანი გადაწყვეტის სახით, როგორც არის ველო კვადრატი, კონფლიქტური ზონები ან გზაჯვარედინების გადაკვეთის მონიშვნები. შეფერილი ზედაპირის გამოყენებამ ველო გზის გადაწყვეტისას შეიძლება მიიღოს შედეგის ფორმა, როდესაც დაფერილი მასალა თავსდება გზის ზედაპირის ზემოთ ან ჩაბეტონდება, როდესაც შეფერილი მასალა შერეულია ზედაპირთან.

საღებავი, ზოგჯერ დანამატებით, როგორც არის მინის მძივები შუქის ასარეკლად და ქვიშა სრიალის საწინააღმდეგოდ, ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდია გზის ზედაპირის მოსანიშნად. საღებავი არაგამძლე მონიშვნაა, ადვილად ცვდება ავტომობილის საბურავებით და თოვლიან კლიმატში, და ხშირად საჭიროებს წლიურად თავიდან შეღებვას. ზედაფენისთვის საღებავი ნაკლებად ძვირადღირებული მასალაა.

გზის ზედაპირის გამძლე თხევადი მონიშვნები (DLPM) მოიცავს ეპოქსისა და ეთილის მეტაკრილატს (MMA). ეპოქსი წებოვანი, წყალშიგაზავებადი აკრილია, რომელიც უმეტესწილად გამოიყენება როგორც საღებავი ან სპრეი. MMA 2 ნაწილიანი თხევადი მასალაა, რომელიც ფისისა და აქტივატორისგან შედგება. ორივე საფარი შეიძლება იყოს სრიალის საწინააღმდეგოდ, ამრეკლავი და შეიძლება მიეკრას ბეტონის ან ასფალტის ზედაპირს, ხოლო ეპოქსი უფრო მგრძობიარე მასალაა ტენიანობისა და ტემპერატურის შემთხვევაში და შეიძლება გამრობის მეტი დროც მოითხოვოს. MMA გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ტემპერატურაზე, გამძლეა და სწრაფად შრება, თუმცა ეპოქსიზე ბევრად ძვირია.

თერმოპლასტი, გზის ზედაპირის კიდევ ერთი გამძლე მონიშვნაა, პოლიმერული ფისისგან დაშნადებული ერთგვარი პლასტმასია, რომელიც ჰომოგენურ სითხედ გარდაიქმნება გაცხელების შედეგად და მყარდება გაგრილების შედეგად. თერმოპლასტს შეიძლება წინასწარ მიეცეს სასურველი ფორმა სპეციალური ფორმების მეშვეობით; როგორც არის ფილები, რომელიც შეიძლება აეწყოს უჯრებად ველო ობიექტების გასაფერადებლად. თერმოპლასტის გამოყენება ასევე შეიძლება ველო ზოლების სიმბოლოებზე, ისრებზე, გზის ლეგენდებზე და საერთო ზოლის მონიშვნებზე. თერმოპლასტი ეპოქსიზე დიდხანს ძლებს და MMA-ზე უფრო მარტივია მისი

გამოყენება. ამრეკლავი და სრიალის საწინააღმდეგო მასალა შეიძლება დატანილ იქნეს პლასტთან შერევით.

შეფერილი ასფალტი შედგება სტანდარტული ასფალტის მასალისგან, მაგრამ დამატებული აქვს ფერადი პიგმენტი. ხარჯების შემცირების მიზნით შესაძლებელია ჩვეულებრივ ასფალტზე შეფერილი ასფალტის თხელ ფენად დატანა. შეფერილი ასფალტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოყენებაა Bend, Oregon's ველოსიპედის წითელი ზოლები, რომელიც შეფერილ ასფალტში იყენებს ლოკალიზებულ წითელ პიგმენტს.

გავრცელებული პრაქტიკაა ასევე ველობილიკებისთვის მწვანე ფერის გამოყენება, რაც ბათუმის ბულვარის შემთხვევაში ვიზუალურად ჩაეწერება პარკის ლანდშაფტში. ამ შემთხვევაში ლურჯად იფერება ველოპარკინგის ადგილები, ხოლო წითლად ველოპარკინგისთვის აკრძალული არეალები.

საოცრებათა პარკი

საოცრებათა პარკის ტერიტორია ბულვარის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას ეს ბულვარის დასაწყისია. იგი კონცხზე მდებარეობს და ემიჯნება ბათუმის იახტ კლუბს. აქ მდებარეობს ცნობილი მოძრავი ქანდაკება 'ალი და ნინო', ანბანის კოშკი, ატრაქციონი 'ემშაკის ბორბალი'. აქ დგას ბათუმის შუქურა, რომელიც მოქმედია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს.

საოცრებათა პარკის ტერიტორია ღია მოედანია, რომელიც მეტწილად თავისუფალია ნარგავებისაგან. იგი უმეტესად ცარიელ სივრცეს წარმოადგენს და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იძენს ფუნქციებს, რომელიც ხალხმრავლობასთან არის დაკავშირებული.

საოცრებათა პარკის ტერიტორია საკმაოდ დიდ ფართს იკავებს და ეს სივრცე უფრო ოპტიმალურად უნდა იყოს გამოყენებული, რადგან მისი ამჟამინდელი ორგანიზება არაეფექტიანია. ამ დიდ გაშლილ სივრცეს არ აქვს სათანადო ფუნქციური დატვირთვა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ცარიელია და არ ქმნის საინტერესო სარეკრეაციო პირობებს. ზაფხულის ტურისტულ სეზონზე, დღის განმავლობაში აქ არ არის ჩრდილი, ხოლო წელიწადის სხვა დროებში, შედარებით დაბალი ტემპერატურის დროს, ქარისაგან დაუცველია. ეს ფაქტორები განაპირობებს იმას რომ საოცრებათა პარკი არ ყალიბდება მიმზიდველ სივრცედ და სასარგებლო გამოყენებას მოკლებულ ადგილს წარმოადგენს.

შესაბამისად, განამუნიანების გეგმის მიზანი ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით მდგომარეობს შემდეგში:

- მოედნის უკეთესი სივრცითი ორგანიზაცია
- მოედნის ნაწილების ბულვარისთვის საჭირო ფუნქციებით დატვირთვა
- ცარიელი ტერიტორიის რესურსის გონივრული ათვისება

- გამწვანების გაძლიერება
- მზისა და ქარისაგან დაცვის ელემენტების შემოტანა
- მოედნის მიზიდულობის გაზრდა და მისი საინტერესო სივრცედ ჩამოყალიბება

საოცრებათა პარკის მოედნიდან იშლება ხელები თვალწარმტაც ბუნებრივ ლანდშაფტზე - ბათუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სანაპიროზე მახინჯაურისკენ, და მის უკან მდებარე მთებსა და მათ კალთებზე მდებარე სოფლებზე. ასევე საინტერესო ვიზუალური კავშირია აღმოსავლეთით მომიჯნავე მარინაზე და აქ განთავსებულ საზღვაო-სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებზე, რაც ყველა ზღვისპირა დასახლების და ქალაქის სახასიათო და განუყოფელი ნაწილია.

იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონის „**საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ**“ თანახმად, სანაპირო ზოლის ტერიტორია მდებარეობს ზღვის სანაპირო საინჟინრო დაცვის ზონაში, სადაც აკრძალულია ისეთი შენობების განთავსება როგორც ამჟამად გვხვდება სანაპირო ზოლში კაფერესტორნების და ღამის კლუბების სახით. აქ დაშვებულია მხოლოდ დროებითი ნაგებობები, რომლების განაშენიანების გეგმით შემოთავაზებული სანაპირო ზოლის ნაწილში, უშუალოდ პრომენადის მიჯნაზე მცირე ზომის კაფეების სახით და მხოლოდ მითითებულ ადგილებში.

ბათუმის სანაპიროზე, წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ღია და ნახევრად ღია კაფეების და ღამის გასართობი კლუბების პრაქტიკა. რადგან საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს მათ განთავსებას სანაპირო ზოლში, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციას, განაშენიანების გეგმით ასეთი ფუნქციებისთვის გამოინახა ალტერნატიული მდებარეობა. ეს გამოწვეულია ასეთი დანიშნულების ობიექტებზე მაღალი მოთხოვნით ტურისტული სეზონის დროს. ბუნებრივია რომ ამგვარი აქტიური დასვენების საჭიროება დგას თანამედროვე ქალაქებში, განსაკუთრებით კი ზღვისპირა ტურისტულ ქალაქებში. ბათუმსაც უკვე გააჩნია ეს ტრადიცია, თუმცა იგი უნდა აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს და უნდა იყოს უსაფრთხო.

სანაპირო ზოლში ამჟამად განლაგებული გასართობი ობიექტებისთვის, იქნება ეს კაფერესტორანი თუ ღამის კლუბი, ასეთი ალტერნატიული ადგილი გამოინახა საოცრებათა პარკის ტერიტორიაზე, რომელიც უმეტესად თავისუფალია და შეძლებს ამგვარი ფუნქციების განთავსებას. საოცრებათა პარკის ტერიტორია პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: დასავლეთ ნაწილი, სადაც ანბანის კოშკი დგას, და რომელსაც სამკუთხედი კონფიგურაცია აქვს; და აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც მოგრძო მართკუთხა ფორმისაა და სადაც შუქურა და ემშაკის ბორბალია განლაგებული. ემშაკის ბორბალის გადატანა შემოთავაზებულია ბულვარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ახალ ბულვარსა და არდაგანის ტბას შორის ტერიტორიაზე, რომელიც გამოყოფილია გასართობი ატრაქციონებისა და აქვა-პარკისათვის. ემშაკის ბორბალის გამონთავისუფლებულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ დაგეგმილია ორი ერთსართულიანი შენობის განლაგება, რომლებშიც განთავსდება კაფე-რესტორნები და ღამის კლუბები. შენობების მიახლოებითი ფართობი 1800 და 1000 კვადრატული მეტრი. ორი შენობა იმდაგვარად არის გადაწყვეტილი, რომ ერთი პრომენადის და ზღვის მხარეს, ხოლო მეორე მარინას

მიმართულებით, დახრილი სახურავით ეშვება მოედნის დონეზე და ამ მხარეს არ გააჩნია შენობის ვერტიკალური ფასადი. გადახურვის დახრილი სიბრტყე მწვანე სახურავს წარმოადგენს, იგი ბალახითაა დაფარული, და ბულვარის ვიზიტორებს საშუალებას აძლევს აქ დაჯდნენ ან წამოწვნენ და ზღვის, მარინას და მთების ხედებით ისიამოვნონ. ორ შენობას შორის დატოვებულია პრომენადზე გასასვლელი ალის და ნინოს ქანდაკების და მის წინ მდებარე პირსის ღერძის გაგრძელებაზე, რაც უზრუნველყოფს როგორც ვიზუალურ ასევე სივრცით კავშირს. შენობებს ღია ფასადები გააჩნია ქალაქის მხარეს, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით. ამ მხარეს იქმნება მცირე მოედანი, სადაც განთავსდება კაფე-რესტორნების წინ დასაჯდომი სკამები და მაგიდები. შეიქმნება ხალხით დატვირთული და მიმზიდველი ერთგვარი ბულვარის 'პიაცა', სადაც დღის განმავლობაში შესაძლებელი იქნება ღია და ადამიანებით გამოცოცხლებულ მოედანზე კაფე-რესტორნების წინ დასვენება, ხოლო ღამით შენობებში იფუნქციონირებს ღამის კლუბები. შუქურას მხარეს მდებარე შენობას და შუქურას შორის უნდა იყოს მინიმუმ 50 მეტრის მანძილი, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

საოცრებათა პარკის დასავლეთ ნაწილი, სადაც მდებარეობს ანბანის კოშკი, მოაზრებულია როგორც დიდი ღონისძიებების ჩასატარებელი სივრცე, ისეთი როგორცაა მაგალითად კონცერტი, სადაც სცენა შეიძლება მოეწყოს ანბანის კოშკის ძირში. მოედნის ეს არეალი დიდი რაოდენობით ადამიანს დაიტევს მუსიკალური ან სხვა ღონისძიების დროს. პრომენადის გასწვრივ არსებული ბალახის საფარიანი დახრა კარგად შეიძლება იყოს გამოყენებული ბალახზე დასაჯდომად და სცენის მიმართულებით საყურებლად. ამ მოედანზე შესაძლებელია მოეწყოს დროებით სავაჭრო დახლები რაიმე დღესასწაულის დროს. აქ შეიძლება ქუჩის მუსიკოსების ან სხვადასხვა საცირკო, აკრობატული თუ ერთი ადამიანის ან მცირე თეატრალური წარმოდგენის ირგვლივ შეიკრიბოს ხალხი და ეს ადგილი იქცეს მრავალფეროვანი სანახაობის ადგილად, რაც საინტერესო და მხიარული გასართობი იქნება ტურისტებისა და ბავშვებისთვის.

საოცრებათა პარკის ტერიტორიაზე განთავსდება გამწვანება, რომლის გადატანაც იქნება შესაძლებელი საჭიროების შემთხვევაში, რაიმე ღონისძიების გამო მოედნის დროებით გადაწყობის დროს. დიდი ზომის გადასატან ქოთნებში მოთავსებული ხეები შექმნის ჩრდილს, ვიზუალურად გააუმჯობესებს გარემოს და რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელს გახდის შეასრულოს ქარის შემაკავებელი ბარიერის ფუნქცია.

ისტორიული ნაწილი

ბათუმის ბულვარის ისტორიული ნაწილი წარმოადგენს ბულვარის ბირთვს. აქ იწყება ბულვარის ისტორია და ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ბულვარის მშენებლობას 1884 წელს. იგი ბათუმელების და ქალაქის სტუმრებისთვისაც ბულვარის ყველაზე მიმზიდველი ნაწილია თავისი ისტორიით, გამწვანებითა და სარეკრეაციო-დასასვენებელი ფუნქციებით.

წლების განმავლობაში ბულვარის ისტორიულ ნაწილში ხდებოდა ჩარევები, რომლებიც არღვევდა ბულვარის ისტორიულ სახეს და არ იყო თანხვედრაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვისა და განვითარების პრინციპებთან. ეს ძირითადად გამოიხატება ბულვარის

ისტორიული ნაწილის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების განთავსებით რომლებიც არ ჯდება საპარკე არქიტექტურაში, ფუნქციურად არ შეესაბამება ბულვარის ამ ნაწილის გამოყენებას ან მასშტაბით ამოვარდნილია კონტექსტიდან და ხელს უშლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფუნქციონირებას ან სრულყოფილ აღქმას.

ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის მიდგომა მისი ცენტრალური და ისტორიული ნაწილის მიმართ მდგომარეობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ლანდშაფტური გარემოს აღდგენასა და შენარჩუნებაში. მისი განვითარება და განახლება უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის პრინციპების მიხედვით და უნდა ემსახუროდეს მის უკეთ ფუნქციონირებას. ბათუმის ბულვარის ისტორიულმა ნაწილმა სრულად უნდა აღიდგინოს ავთენტურობა და შეინარჩუნოს უნიკალურობა. ამ ნაწილში, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლში, უნდა ჩატარდეს ისეთი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც:

- ემსახურება მის დაცვას, აღდგენას და სწორ განვითარებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის შესახებ
- არ აზიანებს პარკის გეგმარების ისტორიულ მახასიათებლებს და ღირებულებებს
- ხელს უწყობს მის უკეთ ფუნქციონირებასა და აღქმას

ასეთ სამუშაოებად შეიძლება ჩაითვალოს:

- გამწვანების მოვლა და განვითარება
- ფენით სასიარულო ბილიკების რეაბილიტაცია
- ველო-ბილიკების მოწყობა
- ბულვარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაწილში არსებული ისეთი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, რომლებიც მის ტერიტორიაზე ისტორიულად მდებარეობენ
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ჩასატარებელი კანონმდებლობით დადგენილი სამუშაოები
- განაშენიანების გეგმის მიხედვით დადგენილი სამშენებლო სამუშაოები

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე განაშენიანების გეგმით გათვალისწინებულია ისეთი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, რომლებიც ისტორიულად არ მდებარეობდნენ ბულვარის ცენტრალურ ნაწილში და იქ ბოლო წლებში გაჩნდნენ. ასეთი შენობა-ნაგებობები, რომელთა ფუნქციასაც ძირითადად კაფე-რესტორანი წარმოადგენს, შეუთავსებელი ბულვარის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაწილთან თავისი დანიშნულებით, პარამეტრებითა და მდებარეობით.

ცენტრალური შესასვლელი

ბათუმის ბულვარის ცენტრალური შესასვლელი მდებარეობს კ. გამსახურდიას ქუჩის ღერძზე. ეს ღერძი სანაპირო ზოლამდე გრძელდება ბულვარის გეგმარებაში და გამოხატულია ფართო ფეხით სასიარულო სივრცის სახით, რომელსაც ცენტრში წყლის შადრევანი და აუზი გასდევს ხაზად.

ბათუმის ბულვარის ისტორიის მანძილზე, აღნიშნული სივრცე და ცენტრალური შესასვლელი სხვადასხვაგვარად იყო გადაწყვეტილი. დროთა განმავლობაში და პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე იგი განიცდიდა სახეცვლილებებს. სხვადასხვა პერიოდში, ცენტრალურ შესასვლელში განთავსებული იყო ყვავილების თარგი, შადრევანი, ძეგლი და ა.შ. უკანასკნელ ასეთ ჩარევას წარმოადგენს ქორწინების სახლის შენობა.

ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმა რა თქმა უნდა გვერდს ვერ აუვლიდა ამ საკითხს. მასში შემოთავაზებულია გადაწყვეტა თანამედროვე ლანდშაფტური და საპარკო არქიტექტურის მიდგომებით, რათა მოხდეს შესასვლელის, როგორც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სივრცის უკეთესი გადაწყვეტა და გააქტიურება. ამ შემოთავაზების მიხედვით უნდა მოხდეს ქორწინების სახლის შენობის დემონტაჟი. იგი არ ჯდება ბათუმის ბულვარის ისტორიული ნაწილის ლანდშაფტურ არქიტექტურაში და თავისი მოცულობით ხელს უშლის მის სრულყოფილ აღქმას.

ბათუმის ბულვარის საპარკო არქიტექტურის ერთ ერთი ძირითადი პრინციპია მის გეგმარებაში ქალაქის ქუჩების გაგრძელება ფეხით სასიარულო ბილიკების და გრძივი მოედნების სახით ზღვის მიმართულებით. ამგვარ სივრცით და ვიზუალურ ღერძებზე არ უნდა განთავსდეს არანაირი ობიექტი, რომელიც კეტავს ხელს ბულვარის სიღრმეში, ზღვაზე და ახდენს ამ სივრცითი და ვიზუალური კორიდორების ბლოკირებას.

ცენტრალური შესასვლელის აქცენტირებისთვის და იმ მიზნით, რომ იგი გახდეს საინტერესო ადგილი ბულვარის ვიზიტორებისთვის, დაგეგმილია იმ პირველი წყლის აუზის რეკონსტრუქცია, რომელზეც ამჟამად განთავსებულია ქორწინების სახლი. შემოთავაზებულია აუზის მაგივრად ამ სივრცის გახსნა ქვედა დონეზე, სადაც მოეწყობა ღია შიდა სივრცე და რომელში მოხვედრაც ვიზიტორებისთვის შესაძლებელი იქნება სხვადასხვა მხრიდან კიბეების და პანდუსების მეშვეობით. ქვედა დონეზე წარმოიქმნება ერთგვარი შიდა მოედანი, რომელიც შეიძენს ღია საექსპოზიციო და საგამოფენო სივრცის ფუნქციას. ვფიქრობთ საინტერესო იქნება აქ ბულვარის ისტორიის ფოტო-მუზეუმის მოწყობა და ეს სივრცე მიწისქვეშა პანდუსური გვირაბით, რომელიც ასევე საგამოფენო ფართს წარმოადგენს, დაუკავშირდება ბულვარში ათწლეულების განმავლობაში არსებულ ფოტო ჯიხურს. ამ ფოტო ჯიხურს გრძელი ისტორია გააჩნია, ბათუმელებისთვის მოგონებებთან არის დაკავშირებული და მისი ამ სახით გარდაქმნა ამ ისტორიის გაგრძელება და შენარჩუნება იქნება ახალი ფუნქციითა და სიცოცხლით.

ბათუმის ბულვარის ცენტრალური შესასვლელის ამგვარი გადაწყვეტა, ხსნის უფრო მეტ სივრცეს ვიზიტორებისთვის ბულვარში მოხვედრისთანავე. ამავდროულად, ბულვარის იძენს ახალ საჯარო ფუნქციას, რომელიც კიდევ უფრო მეტ მნახველს მოიზიდავს. საგამოფენო სივრცე თავისი კულტურული დანიშნულებით შესაძლებლობას იძლევა აქ განთავსდეს პერმანენტული ან დროებითი ექსპოზიციები, რაც ფუნქციურად გაამდიდრებს ბულვარს. შესასვლელში

მოწყობილი ასეთი ქვედა დონეზე გახსნილი სივრცე შეიტანს სიახლეს არა მარტო ბულვარში, არამედ ქალაქის ამ ნაწილში და ახალ ღირშესანიშნაობად იქცევა მთელი ბათუმისთვის. ამგვარად ასევე გადაწყდება ის საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ბულვარის შესასვლელი და რა უნდა განთავსდეს იქ როგორც აქცენტი. შემოთავაზებული გადაწყვეტა წარმოადგენს თანამედროვე მიდგომას საზოგადოებრივი სივრცეების და მოედნების მიმართ. ამ ადგილის ასეთი გარდაქმნა თავისი არსით არის დემოკრატიული და ხსნის უფრო მეტ საჯარო სივრცეს. იგი აღარ ტოვებს მომავალში ამ ადგილის პოლიტიკური ამინდის მიხედვით მუდმივი ცვლილების შესაძლებლობას.

ასევე უნდა მოიხსნას შუა, გრძელ შადრევნის აუზზე მოწყობილი ლითონის ხიდები, რომლებიც აგრეთვე არ უნდა ისტორიული ბულვარის იერსახეში და ამახინჯებს მთავარ შესასვლელ ღერძს. იმისათვის რომ მთავარ შესასვლელში არაფერი ხერგავდეს სივრცეს და ხედს ზღვის მიმართულებით, შემოთავაზებულია ორი მხარის დასაკავშირებლად ხიდების მაგივრად წყლის ზედაპირიდანა ოდნავ ამოშვერილი ქვს საფეხურების მოწყობა.

საზაფხულო თეატრი

ბათუმის ბულვარის ერთ ერთი ღირშესანიშნაობა გახლდათ საზაფხულო თეატრი. თავდაპირველ საზაფხულო თეატრს გააჩნდა მსუბუქი, საპარკო არქიტექტურისთვის შესაფერისი გადაწყვეტა და ის ხის მასალით იყო შესრულებული. ახლანდელი თეატრი უფრო დიდი ზომისაა და მისი არქიტექტურული იერსახე ამოვარდნილია გარემო კონტექსტიდან. მიგვაჩნია რომ მომავალში უნდა აღდგეს ხანძრის შედეგად განადგურებული საზაფხულო თეატრის შენობა, რომელსაც გარდა გარკვეულ დღეებში, კონკრეტულ საათებში გამართული საკონცერტო ან თეატრალური წარმოდგენებისა, შეუძლია დღის და საღამოს განმავლობაში შეითავსოს საზაფხულო კაფე-რესტორანის, ხოლო ღამის საათებში ღამის საცეკვაო თუ კლუბური მუსიკის ფუნქციები. ამისათვის შესაძლებელია მოეწყოს ტრანსფორმირებადი შიდა სივრცე.

ჩოგბურთის კორტები

ბულვარის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს ჩოგბურთის კორტები, რომელიც ცალკე მიწის ნაკვეთად არის დარეგისტრირებული და კერძო მფლობელობაში იმყოფება. ჩოგბურთის კორტები ათწლეულებია ბულვარში მდებარეობს და ეს ტერიტორია მოგვიანებით გასხვისდა. კორტები ბულვარის ორგანული ნაწილია და თავის დანიშნულებით როგორც სპორტული მოედანი იგი ჩაწერილია საქალაქო პარკის სარეკრეაციო გამოყენებაში. დაუშვებელია კორტების ტერიტორიაზე ახალი შენობა-ნაგებობების გაჩენა და ამ ტერიტორიის ისეთი ფუნქციებით დატვირთვა რაც არ ემსახურება ზღვისპირა პარკის ფუნქციონირებას და ეწინააღმდეგება საპროექტო ტერიტორიის ფუნქციურ ზონირებას. აღნიშნულ ტერიტორიას უნდა გააჩნდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი, დასასვენებელ-სარეკრეაციო და ლანდშაფტური დატვირთვა.

რეკომენდირებულია ჩოგბურთის კორტების ირგვლივ მოიხსნას კედლები, რათა შესაძლებელი იყოს ბულვარსა და კორტებს შორის ვიზუალური კავშირი და სივრცის აღქმა. ამავე თვალსაზრისით უმჯობესი იქნება სამაყურებლო ტრიბუნების რეორგანიზაცია.

სასტუმრო შერატონის აუზი

ტერიტორია სადაც სასტუმრო შერატონის აუზი მდებარეობს, ბულვარის ისტორიული ნაწილის საზღვრებშია და იგი მრავალწლიანი იჯარით არის გაცემული. საცურო აუზი თავისი სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ფუნქციით მისაღებია როგორც ბულვარის გამოყენებისთვის ასევე მისი ფუნქციური ზონირების კუთხითაც. თუმცა სასურველია იჯარის ვადის გასვლის შემდეგ აუზის შენარჩუნების შემთხვევაში იგი გახდეს საჯარო, ან ამ ადგილის დაუბრუნდეს გამწვანება და ჩაეწეროს ბულვარის ლანდშაფტში.

მედიათეკა

ბულვარში შემოტანილია კულტურულ-საგანმანათლებლო ტიპის ახალი ფუნქცია, რომელიც თავის დატვირთვით გამდიდრებს ბულვარს. ეს გახლავთ მედიათეკა, სადაც შესაძლებელი იქნება ბიბლიოთეკითა და ინტერნეტით სარგებლობა. აქვე იქნება მცირე კაფეც. მედიათეკა საკმაოდ პოპულარულია ახალგაზრდებში და არა მარტო. ბულვარში დასვენებისას შესაძლებელი იქნება მედიათეკაში სტუმრობა და ბიბლიოთეკით და ინტერნეტით სარგებლობა. მედიათეკა როგორც წესი ასევე მასპინძლობს ხოლმე პრეზენტაციებს ან ვორქ-შოპებს. იგი აგრეთვე მოსახერხებელია წვიმიანი ამინდის დროს დროებით თავის შესაფარებლად და მასში ხელმისაწვდომი აქტივობებით დასაკავებლად. მედიათეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო დატვირთვის მქონე შეკრებისა და შეხვედრების სივრცეს.

მედიათეკის განთავსება დაგეგმილია შენობაში სადაც ამჟამად სამეურნეო ნაგებობა განთავსებული. ამისათვის საჭიროა შენობის რეკონსტრუქცია და ადაპტაცია. სამეურნეო ნაგებობის გადატანა შემოტავაზებული არდანაგის ტბის მიმდებარედ. ბულვარის ისტორიულ ნაწილში სამეურნეო ნაგებობის არსებობა არ არის მიზანშეწონილი და აქ არსებული სივრცე უფრო სასარგებლოდ და ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული.

შუალედური ნაწილი

შუალედურ ნაწილად მოაზრებულია ბულვარის მონაკვეთი ისტორიულ ნაწილსა და არდაგანის ტბას შორის. ეს ბულვარის ყველაზე ვიწრო მონაკვეთია, სადაც პრომენადსა და ველობილიკს გამწვანების ვიწრო ზოლი მიუყვება. აქ მდებარეობს აღდგენილი და მოზაიკით დაფარული კაფე 'რვაფხა', ასევე სავარჯიშო და ბავშვთა მოედანი, საზოგადოებრივი ტუალეტი.

არდაგანის ტბა

არდაგანის ტბა ბათუმის ბულვარისთვის მნიშვნელოვანი სარეკრეაციო რესურსია. მის ცენტრში განთავსებულია შადრევანი, რომელიც სანახაობრივად ბევრ მაყურებელს იზიდავს. მათთვის ტბის ორ - პრომენადისა და ხიმშიაშვილის ქუჩის მხარეს, არსებულ დახრილ რელიეფზე უნდა მოეწყოს ტერასული ჩამოსაჯდომები, რაც უფრო კომფორტულს გახდის ტბაზე და შადრევანზე ხედით სარგებლობას.

ტბის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს არის ორი მცირე კუნძული, რომლებზეც დაგეგმილია ფეხით მოსიარულეთა ხილები, რაც კუნძულებზე ვიზიტორთა მოხვედრას უზრუნველყოფს და მათ ტბის წყლის სარკეზე გადასვლისას წყლის ზედაპირთან სიახლოვის სასიამოვნო შეგრძნებას

მიანიჭებს. ტბის ირგვლივ უნდა კეთილმოეწყოს სარბენი ბილიკი რომელიც დაკავშირებული იქნება ხილებთან.

ტბის გააქტიურებისთვის საჭიროა ტბაზე წყლის ფრინველების გაშვება, რაც სასიკეთოა ბიომრავალფეროვნებისთვის და მიმზიდველია ვიზიტორებისთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის.

ტბის მიმდებარედ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს და აქ შემომავალი ჩიხური გზის მეროვ მხარეს, უნდა აშენდეს ბულვარის სამეურნეო შენობა, რომელიც ამაჟამად ბულვარის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს და მის ადგილას მედიათეკა უნდა მოწყოს.

ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ განლაგებულ კუნძულზე და ხიმშიაშვილის ქუჩის მხარეს, შუა ნაწილში მდებარეობს კაფე რესტორნები. მათი არსებობა ტბასთან სიახლოვეს მისაღებია და ისინი ფუნქციურად საჭიროა დამსვენებლებისთვის. მათი მომსახურება ხდება ხიმშიაშვილის ქუჩის მხრიდან და ისინი არ ქმნიან შეფერხებას ბულვარის ნაწილში.

რესტორნების კლასტერი

არდაგანის ტბას სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ე.წ. რესტორნების კლასტერი. ეს ტერიტორია თავიდანვე განვითარდა როგორც კვების ობიექტების არეალი და აქ განთავსებულია სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული არქიტექტურის იმიტაციით შესრულებული შენობები სარესტორნო ფუნქციებით.

შენობების არქიტექტურული ხარისხი უმეტესად მდარეა და განაშენიანების გეგმით, *არსებულ ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების რეკომენდაციების რუკაზე 1.2.1-10* მოცემულია ამ შენობებზე მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში ჩასატარებელი სამუშაოების რეკომენდაციები.

აღნიშნული კვების ობიექტები ამ ტერიტორიაზე უსისტემოდ არის განლაგებული. ამასთანავე, ისინი ძირითადად პრომენადის პირას მდებარეობენ და ფასადებით უხეშად გამოდიან ზღვსიპირა ღია ფრონტზე. ეს არღვევს ბულვარისთვის მნიშვნელოვან გეგმარებით პრინციპს, რომ სანაპირო ზოლს გასდევს პრომენადი, მას თავის მხრივ ველობილიკი რომელსაც მოსდევდეს გამწვანების ზოლი. აქედან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში ამ შენობებმა უნდა გადაინაცვლონ ხიმშიაშვილის ქუჩის პირზე. ასე უკეთესად მოხდება ამ რესტორნების მომსახურება ქუჩის მხრიდან, ხოლო გამონთავისუფლებული ადგილი უნდა შეივსოს გამწვანებით და ამგვარად აღდგეს მწვანე ზოლის განგრძობადობა პრომენადის გასწვრივ და კავშირი ტბასთან.

ატრაქციონების პარკი

შემდეგი სეგმენტი რესტორნების კლასტერსა და ახალ ბულვარს შორის არის ატრაქციონების პარკი. ამაჟამად სხვადასხვა ატრაქციონი ქაოტურად არის განლაგებული ბულვარის ტერიტორიაზე. ზოგი მათგანი სანაპირო ზოლშია განთავსებული, რაც ეწინააღმდეგება

კანონმდებლობას და ფარავს ხელს პრომენადიდან ზღვაზე. ამიტომ დაგეგმილია მათი კომპაქტურად დაჯგუფება ატრაქციონებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე და აქ ატრაქციონების პარკის შექმნა, სადაც ბავშვებსა და ვიზიტორებს ერთ სივრცეში ექნებათ სხვადასხვა ატრაქციონზე წვდომა. აქვე უნდა გადმოინაცვლოს 'ემშაკის ბორბალმა'.

ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს აქვა-პარკი, რომელთან ერთადაც ატრაქციონები ლოგიკურად შეკრავს ამგვარი გასართობ სივრცეს ბულვარში. ამასთანავე, გზასთან, ხიმშიაშვილის ქუჩასთან, სიახლოვე გააუმჯობესებს მხოლოდ აქ მომსვლელთა წვდომას ქალაქიდან და გააღვილებს ამ ობიექტების მომსახურებას.

აღსანიშნავია, რომ ატრაქციონების პარკის ნაწილი დაგეგმილია ბათუმის მუნიციპალიტეტის კუთვნილ, მაგრამ აქვა-პარკის მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც ცარიელია. ამ ნაწილის ატრაქციონების პარკისათვის გამოყენება უნდა მოხდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ახალი ბულვარი

ე.წ. ახალი ბულვარი წარმოადგენს ბათუმის ბულვარის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რომელიც ყველაზე გვიან იქნა განვითარებული. ის დაგეგმილი და განხორციელებულია თანამდეროვე ლანდშაფტური დიზაინის მიდგომებით.

ახალი ბულვარი ყველაზე ნაკლებად არის ხოლმე დატვირთული, ტურისტული სეზონის დროსაც. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მცირეა ხეების რაოდენობა და არსებული ხეების ვარჯის ზომები არ იძლევა ზაფხულის მზიან სეზონზე საკმაო ჩრდილს. ამის გამო არ იქმნება უფრო დაბალი ტემპერატურის მიკრო-კლიმატი, სადაც ცხელ დღეებში თავის შეფარება შეიძლება.

ასევე, ახალი ბულვარი განიცდის ფუნქციური დატვირთვის ნაკლებობას, რაც აქ მოიზიდავდა მეტ ხალხს. აქ საკმაოდ კარგი ბავშთა სათამაშო მოედანია, თუმცა ეს არ არის საკმარისი.

აქედან გამომდინარე, განაშენიანების გეგმას აქვს სხვადასხვა შემოთავაზებები ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად და ამ ტერიტორიის გამოსაცოცხლებლად, რათა გაიზარდოს ბულვარის ამ ნაწილის მიმზიდველობა და იგი გახდეს უფრო აქტიურად გამოყენებული.

საჭიროა გამწვანების გაძლიერება, რაზეც უფრო მეტ დეტალურ ინფორმაციას იხილავთ პროექტის შესაბამის ნაწილში. გარდა ამისა, სანამ გამწვანების ბუნებრივი ზრდის პროცესი მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ჩრდილი, საჭიროა დამსვენებლებისთვის საჩრდილობლების მოწყობა. ასეთი საჩრდილობლები დაგეგმილია ახალი ბულვარის მთავარ შემოსასვლელში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ დასაწყისში. აქ მდებარე ქვეფანილიანი მოედანი ცარიელია და არ სთავაზობს ვიზიტორებს ჩრდილს ან ჩრდილში დასაჯდომს, არც რაიმე სხვა ფუნქციას. ამიტომ ეს მოედანი უმეტესად ცარიელია. მისი მიმზიდველობის გასაზრდელად და მის გასააქრიუებლად დაგეგმილია მოედნის დასავლეთ კიდეზე საჩრდილობლების და მცირე ზომის ღია კაფის მოწყობა.

საჩრდილობლები მოეწყობა ასევე ახალი ბულვარის სამხრეთ-დასავლეთ ნახევარის ცენტრში მდებარე მოედანზეც. ხოლო ცენტრალურ ნაწილში დაგეგმილია სკეიტ პარკის მოწყობა. სკეიტ პარკები დღეს ძალიან პოპულარულია ბავშვებსა და მოზარდებში და ისინი უამრავ ადამანს იზიდავს. სკეიტ პარკი ეწყობა მიწის დონის ქვემოთ, ჩაღრმავებაში, და არსებული ფეხით სასიარულო ცენტრალური ბილიკი ხიდის სახით გადაივლის არსებულ ნიშნულზე.

ახალი ბულვარის სამხრეთ-დასავლეთ ბოლოში, სადაც ამფითეატრი მდებარეობს, მის წინ ასევე დაგეგმილია როლიკების მოედანი, რომელიც ასევე ძალიან პოპულარულია. ზაფხულში მასზე როლიკებით, ხოლო ზამთარში ყინულის საფარის მოწყობით შესაძლებელია ციგურებით სრიალი. როლიკების მოედანზე დგას ავეჯ საცოცი კედელი, რაც უამრავი ბავშვის სპორტული გასართობი და სახალისო სავარჯიშოა.

ამფითეატრის ტერიტორიაზე დაგეგმილია საზაფხულო დია კინოთეატრი. აქ სეზონურად დამონტაჟდება დროებითი ეკრანი და მაყურებელთა დასაჯდომად გამოყენებულ იქნება არსებული ამფითეატრის დასაჯდომი ტერასები.

ამფითეატრის უკან დამატებით დაგეგმილია კიდევ ერთი სამეურნეო შენობა, რომელიც ბულვარის ამ ნაწილს მოემსახურება. აქვეა მეორე კაფეც, რომელიც ავტოსადგომის კიდუზეა და ადვილად მომსახურებადია.

1.2.2.2 არსებულ ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების რეკომენდაციები

სანაპირო ზოლი

- *ჯიხურები*

სანაპირო ზოლში განთავსებული ჯიხურები, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან ვიზუალით, არქიტექტურული სტილით, მასალით და მასშტაბით. შესაბამისად აუცილებელია არსებული ჯიხურებისგან ტერიტორიის გამოთავისუფლება და საპროექტო ობიექტების განთავსება ერთიანი იერსახითა და კონცეფციით.

- *სამეთვალყურეო კოშკები*

სამეთვალყურეო კოშკების დიზაინი ბოლო პერიოდში შეიცვალა და ტერიტორიაზე განთავსდა ახალი მოცულობები. თუმცა მათი მასშტაბი თავისი ფუნქციისათვის შეუსაბამოა, და ზედმეტად დიდია. ასევე მათი მშენებლობისას გამოყენებულია რკინა-ბეტონის საძირკვლები რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. აუცილებელია არსებული კოშკების ჩანაცვლება ახალი მოცულობებით, რომლებიც იქნება მეტად მსუბუქი იერსახის და შედარებით პატარა მოცულობის.

- *მოცულობითი შენობები*

საქართველოს კანონის „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ თანახმად, სანაპირო ზოლის ტერიტორია მდებარეობს ზღვის სანაპირო საინჟინრო დაცვის ზონაში „**მუხლი 2. გ) ზღვის სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონა – სივრცე, რომელიც მოიცავს ზღვის აკვატორიას 20 მ სიღრმემდე და ხმელეთის არა უმეტეს 500 მ სიგანის სანაპირო ზოლს. იგი შედგება მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზოლებისაგან;**“ მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზოლების საზღვრებს ადგენს „**სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის სქემა**“- „სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის სქემა – დოკუმენტი, რომელიც ადგენს მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზოლების საზღვრებს, სანაპირო ზონის დაცვის წესებს და განსაზღვრავს პრევენციულ ნაპირდაცვის ღონისძიებებს“

„**მუხლი #5 1. ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიების საზღვრები დგინდება ჰიდროლოგიური, ოკეანოგრაფიული, გეოლოგიური და გეომორფოლოგიური პირობებით, ზღვის კიდის ხაზის მორფოდინამიკური განვითარების გათვალისწინებით.**

